ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

თორნიკე მღებრიშვილი

საქართველოდან დსთ-ს ქვეყნებში საქონლის ექსპორტის სტატისტიკური ანალიზი

სამაგისტრო პროგრამა: ეკონომიკა

ნაშრომი შესრულებულია ეკონომიკის მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: მერაბ ხმალაძე

ასოცირებული პროფესორი

თბილისი 2020

ანოტაცია

სამაგისტრო ნაშრომში განხილულია საქართველოს ექსპორტის სტატისტიკური ანალიზი დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრების ქვეყნებთან, ასევე დსთ-ს სტრუქტურა, მის წევრი ქვეყნების ჩამონათვალი და მათი ეკონომიკური პოტენციალი.

ნაშრომის პირველ ნაწილში განხილულია საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის საწარმოებლად არსებული საერთაშორისო მეთოდოლოგია. მისი გამოყენების ინსტრუქცია და მუხლები. ასევე ძირითადი კატეგორიები და დაჯგუფებები საგარეო ვაჭრობის სტატისტიკაში, ყურადღება გამახვილებულია HS კოდებზე რადგან მსოფლიოში ყველაზე მეტად გამოყენებადი სწორედ აღნიშნული კოდებია.

სამაგისტრო ნაშრომის მეორე ნაწილის დასაწყისში აქცენტი გამახვილებულია დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნებთან საქართველოს ეკონომიკური ურთიერთობის მნიშვნელობაზე, რაც თავის მხრივ სამაგისტრო ნაშრომის აქტუალობაზე მეტყველებს. განხილულია ასევე, ძირითადად რა საქონლის ექსპორტს ანხორციელებს საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნებში. ნაშრომის დასასრულს მოცემულია სტატისტიკური პროგნოზირების და არსებული მონაცემების „მოსწორების“ გზები.

Annotation

The master's thesis discusses the s tatistical analysis of Georgia's exports to the Commonwealth of Independent States, as well as the structure of the CIS, the list of its member states and their economic potential.

The first part of the paper discusses the international methodology available for the production of international trade statistics. Instructions and articles for its use. As well as major classifications in international trade statistics, the focus is on HS codes because these codes are the most used around the world.

At the beginning of the second part of the master's thesis, the focus is on the importance of Georgia's economic relations with the Commonwealth of Independent States, which also demonstrates how urgent the master's thesis is. It is also discussed mainly what kind of goods Georgia exports to the Commonwealth of Independent States. At the end of the paper, the ways of statistical forecasting and "correction" of existing data are given.

სარჩევი

შესავალი **5**

თავი 1 საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის წარმოებადა მათი გაანგარიშების მეთოდოლოგია **7**

1.1 საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის წარმოების საერთაშორისო მეთოდოლოგია 7

1.2 ძირითადი კატეგორიები და დაჯგუფებები საგარეო ვაჭრობის სტატისტიკაში 16

თავი 2 საქართველოდან დსთ-ს ქვეყნებში საქონლის ექსპორტის სტატისტიკური ანალიზი **20**

2.1 დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობასთან ვაჭრობის როლი საქართველოს ეკონომიკაში 20

2.2 საქართველოს ექსპორტი დამოუკიდებელი სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნებთან 24

2.3 დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობასთან საქართველოს საგარეო ვაჭრობის მაჩვენებლების პროგნოზირება გრძელვადიან პერიოდში..... 41

დასკვნა **49**

გამოყენებული ლიტერატურა **51**

შესავალი

გლობალიზაციისა და მსოფლიო ეკონომიკების ინტეგრაციის კვალდაკვალ, ყოველწლიურად იზრდება ქვეყნებს შორის ეკონომიკური ურთიერთობები, კერძოდ კი ვაჭრობა. საერთაშორისო ვაჭრობა მოიცავს ქვეყნებს შორის თავისუფალ ვაჭრობას და საქონლისა და მომსახურების დაუბრკოლებლად მიმოცვლას. ვაჭრობას საერთაშორისო ურთიერთობებში უდიდესი მნიშვნელობა აქვს და ის, ხშირ შემთხვევაში, ქვეყნებს შორის ამა თუ იმ ტიპის ურთიერთობების ჩამოყალიბების ერთ-ერთი მთავარი წინაპირობაა.

საგარეო ვაჭრობასთან დაკავშირებული დროული და ზუსტი ინფორმაცია ძალზედ მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის. რადგან აღნიშნული მონაცემები შესაძლოა გამოყენებული იქნას მოხმარების, წარმოების და ზოგადად ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის ანალიზისთვის.

მსოფლიო ეკონომიკური ცხოვრების აქტიური გლობალისაციის პირობებში იზრდება სტატისტიკის როლი და მნიშველობა ეკონომიკურ პროცესებში მიმდინარე ტენდენციების ასახვისა და სახელისუფლებო ორგანოების ოპერატიული ინფორმაციის უზრუნველყოფის საკითხებში.

ინტეგრაციული პროცესების გაღრმაების ფონზე თავად ეროვნული სტატისტიკური სისტემაც საჭიროებს აქტიურ ჩართოლობას მსოფლიო სტატისტიკურ სისტემაში, რაც მოითხოვს ოფიციალური სტატისტიკის მეტად განვითარებას და საერთაშორისო სტანდარტებთან მაქსიმალურ ჰარმონიზაციას.

ქვეყნის საგარეო ეკონომიკური კავშირების რაოდენობრივი შესწავლა, მათი სტატისტიკური ანალიზი და პროგნოზირება ქვეყნის საგარეო ეკონომიკური და სავალუტო-საფინანსო პოლიტიკის შემუშავების აუცილებელი ინსტრუმენტია. სწორედ ამიტონ აღნიშნული სფეროს სტატისტუკური კვლევა მეტად აქტუალური პრობლემაა და ნებისმიერი ქვეყნის ინტერესის საგანს შეადგენს.

საქართველოს აქტიური ჩართულობა საერთაშორისო ინტეგრაციულ პროცესებში, ჩვენს წინაშე აყენებს ეროვნული სტანდარტების საერთაშორისო სტანდარტებთან ჰარმონიზაციის საკითხს.

საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის მაჩვენებელთა გაანგარიშებაში თეორიულად აპრობირებული მეთოდების გამოყენებიშ პრობლემები და მათი პრაქტიკული გადაწყვეტის შესაძლებლობების დოკუმენტური არქივი საქართველოში ჯერჯერობით არ არსებოს.

თავი 1 საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის წარმოებადა მათი გაანგარიშების მეთოდოლოგია

1.1 საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის წარმოების საერთაშორისო მეთოდოლოგია

იმისათვის, რომ სტატისტიკური მონაცემები ურთიერთშესაბამისი იყოს, სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციები აქტიურად მონაწილეობენ სტატისტიკური მეთოდოლოგიების დამუშავებასა და მათ სისტემატიურ სრულყოფაში. მათი რეკომენდაციებით ქვეყნები უზრუნველყოფენ მაჩვენებელთა გაანგარიშებას შესაბამის მეთოდოლოგიებზე დაყრდნობით.

საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის შესწავლა საქართველოში ხორციელდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რეკომენდაციების საფუძველზე (საქონლით საგარეო ვაჭრობის სტატისტიკა, სახელმძღვანელო შემდგენლებისათვის, გაერო, ნიუ-იურკო, 2010წ). რეკომენდებული მეთოდოლოგია ითვალისწინებს საქონლის წრის განსაზღვრას, რომელიც უნდა აღირიცხოს საგარეო ვაჭრობის სტატისტიკაში ან დარჩეს მის საზღვრებს მიღმა, ასევე, იმ საქონლის გამოყოფას, რომელიც არ აღირიცხება საგარეო ვაჭრობის სტატისტიკაში, მაგრამ ცალკე უნდა იქნას დამუშავებული, რათა შესაძლებელი იყოს მონაცემებში შესაბამისი კორექტირების შეტანა ქვეყნის საგადასახდელო ბალანსისა და ეროვნული ანგარიშების მიზნებიდან გამომდინარე. მეთოდოლოგიური საკითხები ასევე მოიცავს საგარეო ვაჭრობის სხვადასხვა სისტემების გამიჯვნას, სასაქონლო ღირებულების განსაზღვრას და სხვა საკითხებს, რომლებიც საგარეო ვაჭრობის სტატისტიკას ანიჭებს მკვეთრად განსხვავებულ როლსა და მნიშველობას ქვეყნის საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების ანალიზის, პროგნოზირებისა და ეფექტიანი სავაჭრო საგარეო პოლიტიკის შემუშავების საკითხებში.

როგორც ზოგადი პრინციპი, საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის წარმოებისას როკომენდირებულია, საქონლით საგარეო ვაჭრობის სტატისტიკაში აღირიცხოს ყველა საქონელი, რომელიც გადაკვეთს ქვეყნის ეკონომიკურ ტერიტორიას და ამის შედეგად იზრდება (იმპორტის შემთხვევაში) ან მცირდება (ექსორტის შემთხვევაში) მოცემული ქვეყნის მატერიალური რესურსები მარაგები. ამასთან, სატრანზიტო ან დროებითი ტვირთები საქონლით საგარეო ვაჭრობის სტატისტიკაში ასახვას არ ჰპოვებს, გარდა გადასამუშავებლად შემოტანილი საქონლისა.

საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის წარმოების მიზნებიდან გამომდინარე, ერთმანეტისგან განასხვავებენ ქვეყნის ეკონომიკურ, საბაჟო და სტატისტიკურ ტერიტორიებს, რომლებიც შეიძლება ცალკეულ შემთხვევებში ემთხვეოდეს კიდეც ერთმანეთს. თუ სტატისტიკური ტერიტორია არ ემთხვევა ქვეყნის ეკონომიკურ ტერიტორიას, მაშინ საგარეო ვაჭრობის სტატისტიკა ვერ უზრუნველყოფს ქვეყანაში შემოსული და გასული სასაქონლო ნაკადების სრულ აღრიცხვას.

სტატისტიკური ტერიტორია წარმოადგენს ქვეყნის ტერიტორიის იმ ნაწილს, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება სტატისტიკური მონაცემების შეგროვება და დამუშავება.

ქვეყნების უმრავლესობაში სავაჭრო ოპერაციების შესახებ ინფორმაციის მოპოვება წარმოებს საბაჟო პროცედურების საფუძველზე და ამ ქვეყნებში სტატისტიკური ტერიტორიის საზღვრად განიხილება სწორედ საბაჟო ტერიტორიის საძრვარი.

საბაჟო ტერიტორია, თავის მხრივ წარმოადგენს ტერიტორიას, რომლის ფარგლებშიც მოქმედებს ქვეყნის საბაჟო კანონმდებლობა, მიუხედავად ამისა, ქვეყნებს შორის განხორციელებული გაზრდილი სასაონლო სავაჭრო ნაკადები არ ხვდება საბაჟო აღრიცხვის ფარგლებში ან აღირიცხება არასრულად. ამ მიზეზების გამო, უმეტეს შემთხვევაში სტატისტიკური ტერიტორიის განსაზღვრა უფრო ფართო ხასიათს იძენს საბაჟო ტერიტორიასთან შედარებით და სტატისტიკის მწარმოებლები იძულებულები არიან გამოაქვეყნონ ინფორმაციის არასაბაჟო წყაროები, რათა მოახდინონ იმ სავაჭრო

ოპერაციების მოცულობის დადგენა, რომლებიც ხორციელდება სტატისტიკური ტერიტორიის საზღვრებში. ასეთ წყაროს წარმოადგენს სავაჭრო ორგანიზაციების შერჩევითი კვლევები ან სპეციალური მაქოსებრი სტატისტიკური გამოკვლევა, რომელიც საშუალებას იძლევა დადგინდეს საბაჟო ღირებულების ზღვარს ქვემოთ არსებული სავაჭრო ნაკადების მოცულობა, რომლებიც არ ექვემდებარება დეკლარირებას. ასეთი ვაჭრობის მოცულობა ბოლო პეროიდებში სულ უფრო ფართო მასჭტაბებს იძენს. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი შემთხვევების შესამცირებლად საბაჟო ორგანოების მიერ დაწესებულია გარკვეული შეძღუდვები დღის განმავლობაში საზღვრის გადაკვეთის რაოდენობასთან და გადატნილი ტვირთის მოცულობასთან მიმართებაში.

ქვეყნის სტატისტიკურ სამსახურებს შეუძლიათ განსაზღვრონ სტატისტიკური ტერიტორია მასთან დაკავშირებული ეკონომიკური ტერიტორიის ელემენტების ნუსხის შედგენით. ელემენტები აღიწერება, რა თქმა უნდა, საბაჟო კანონმდებლობის საფუძველზე და შეიძლება განსხვავებული იყოს სხვადასხვა ქვეყნებში. თუმცა მონაცემთა საერთაშორისო ურთიერთშესადარისობის უზრუნველყოფის მიზნით, ქვეყნებს ეძლევათ რეკომენდაციამ რომ ზუსტად განისაზღვროს არსებობს თუ არა მათ ქვეყანაში შემდეგი ტერიტორიული ელემენტები და მოიცავს თუ არა მათი სტატისტიკური ტერიტორია აღნიშნულ ელემენტებს:

ა) კუნძულები;

ბ) ტერიტორიული წყლები;

გ) კონდინენტური შელფი;

დ) ოფშერული ან კოსმოსური დანადგრები და აპარატები;

ე) თავისუფალი ვაჭრობის ზონები;

ვ) თავისუფალი ინდუსტრიული ან ეკონომიკური ზონები;

ზ) საბაჟო საწყობები;

თ) შიდა გადამუშავების ადგილები;

ი) სხვა ქვეყნებში სტატისტიკური აღრიცხვის ქვეყნის ტერიტორიული ანკლავები

(მაგალითად, ჩვენი ქვეყნის საელჩოები, საკონსულოები, სამხედრო და სამეცნიერო ბაზები სხვა ქვეყნებში);

კ) ტერიტორიული ექსკლავები, ანუ სხვა ქვეყნების ანკლავები სტატისტიკური აღრიცხვის ქვეყანაში.

აღნიშნული საკითხები წარმოადგენს საკვანძო დეფინიზიებს მათი კონკრეტიზაცია აუცილებელია იმისათვის, რომ ზუსტად განხორციელდეს იმ სასაქონლო ნაკადების გამიჯვნა, რომლებიც ექვემდებარება საქონლით საგარეო ვაჭრობის სტატისტიკაში ასახვას. ასევე, იმ ტერიტორიების განსაზღვრებას რომლებიც უზრუნველყოფს სრულყოფილი ინფორმაციის არსებობას შესაბამისი არეალიდან მოპოვებული სტატისტიკური მონაცემებით.

იმის მიხედვით, თუ ეკონომიკური ტერიტორიის რა ნაწილს მოიცავს სტატისტიკური ტერიტორია, ქვეყნების მიერ გამოყენებული სავაჭრო სისტემები შეიძლება იყოს „ზოგადი“ და „სპეციალური“. ზოგადი და სპეციალური ვაჭრობა გულისხმობს იმ მეთოდების ერთობლიობას, რომელთა მიხედვითაც ხდება საგარეო სავაჭრო სასაქონლო ნაკადების რეგისტრაცია და აღრიცხვა.

ზოგადი ვაჭრობის მეთოდის გამოყენებისას საგარეო სავაჭრო სასაქონლო ნაკადები აღირიცხება მათ მიერ საზღვრის გადაკვეთის მომენტში, მიუხედავად იმისა, დაუყოვნებლივ მოხვდა ეს საქონელი უშუალო იმპორტიორთან (იმპორტის შემთხვევაში), თუ ამავე მომენტში დატოვა ამ საქონელმა ექსპორტიორი ეკონომიკური ერთეულის საწყობი (ექსპორტის შემთხვევაში).

სპეციალური სისტემა გამოიყენება იმ შემთხვევაში, როცა სტატისტიკური ტერიტორი წარმოადგენს ეკონომიკური ტერიტორიის მხოლოდ გარკვეულ ნაწილს. ტრადიციულად განასხვავებენ ვაჭრობის სპეციალური სისტემის განსაზღვრის „ვიწრო“ და „ფართო“ გაგებას.

„ვიწრო“ გაგება გამოიყენება იმ შემთხვევაში, როცა სტატისტიკური ტერიტორია მოიცავს მხოლოდ თავისუფალი მიმოქცევის ზონას.

„ფართო“ გაგებით სპეციალური სისტემა გამოიყენება, როცა საქონლით საერთაშორისო ვაჭრობის სტატისტიკაში გაითვალისწინება: ა) საქონლის იმპორტი შიდა გადამუშავების მიზნით ან გადამუშავების შემდეგ საქონლის ექსპორტი; ბ) თავისუფალ სავაჭრო ზონაში იმპორტირებული ან ასეთივე ზონიდან ექსპორტირებული.

საგარეო ვაჭრობა და საგადასახდელო ბალანსის საქონლით ვაჭრობა განსხვავებული ცნებებია და ეყრდნობიან განსხვავებულ კონცეფციებს. თუ საგარეო ვაჭრობისათვის განმსაზღვრელია საზღვრის გადაკვეთის პრინციპი, საგადასახდელო ბალანსის საქონლით ვაჭრობისათვის განმსაზღვრელი პრინციპია რეზიდენტსა და არარეზიდენტს შორის საკუთრების უფლების ცვლილება. ამასთან არსებობს რიგი პოზიციებისა, რომელიც განეკუთვნება საგადასახდელო ბალანსის საქონლით ვაჭრობას და არ განეკუთვნება საგარეო ვაჭრობის სტატისტიკას.

„საქონლით საგარეო ვაჭრობის სტატისტიკაში აღირიცხება შემდეგი კატეგორიის საქონელი:

- არამონეტარული ოქრო, რომელიც შეიძლება იყოს დამუშავებული ან ნახევრადდამუშავებული სახით;
- მიმოქცევაში არმყოფი ბანკნოტები, ფასიანი ქაღალდები და მონეტები;
- ბარტერული გარიგების საფუძველზე რეალიზებული საქონელი;
- ჰუმანიტარული ტვირთები;
- სამხედრო დანიშნულების საქონელი, რომლის რეალიზაცია ხდება სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე. ასევე საქონელთან დაკავშირებული საბაჟო დოკუმენტები, როგორც წესი, კონფიდენციალურია, თუმცა მიუხედავად ამისა, საქართველოში საბაჟო და სტატისტიკურ სამსახურებს შორის ინფორმაციის გაცვლის შესახებ შეთანხმება მოიცავს

აღნიშნული კატეგორიის მონაცემებით სტატისტიკური ორგანოების უზრუნველყოფის პირობას;

- კონსიგნაციის საფუძველზე გადაცემული საქონელი;
- საქონელი, რომელიც გამოიყენება ინფორმაციის მატარებლის ან პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებად. მაგალითად: დისკეტების ან ლაზერული დისკების შეფუთული კომპლექტები ჩაწერილი კომპიუტერული პროგრამებით;
- გადამუშავებისათვის განკუთვნილი საქონელი. საქონელი, რომელიც იგზავნება საზღვარგარეთ გადამუშავების მიზნით და მოსალოდნელია, რომ ის დაბრუნებული იქნება ახალი საქონლის სახეით. ასეთი საქონელი უნდა იქნას აღრიცხული როგორც ექსპორტი;
- საქონელი, რომელიც კვეთს საზღვარს სათაო კომპანიასა და პირდაპირი ინვესტირების საწარმოს შორის დადებული გარიგების საფუძველზე;
- დაბრუნებული საქონელი - (ამის მაგალითად, შეგვიძლია მოვიყვანოთ 2006 წელს რუსეთის მიერ საქართველოდან სოფლის მეურნეობის პროდუქციასა და სურსათის ექსპორტზე დაწესებული ემბარგო. რუსეთში ექსპორტირებული ქართული ღვინის დაბრუნება აისახა რუსეთიდან იმპორტის სახით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზოგადად ასეთ შემთხვევებში სტატისტიკური ინფორმაციის გავრცელებისას, სტატისტიკური სამსახურების მიერ აუცილებლად უნდა გაკეთდეს კომენტარი, რათა მომხმარებელი ინფორმირებული იყოს მსგავსი ფაქტის შესახებ, რომ არ მოხდეს მათი მხრიდან მონაცემების არასწორი ინტერპრეტაცია და მცდარი დასკვნების გაკეთება);
- ელექტროენერგია, ბუნებრივი აირი და წყალი;
- საფოსტო და საკურიერო სამსახურების საშუალებით გადაადგილებული საქონელი;

- საბაჟო საწყობის რეჟიმით გადაადგილებული საქონელი. მასში იგულისხმება შემოტანილი საქონლის შენახვა საბაჟო კონტროლის ქვეშ, საბაჟო საწყობში, საბაჯო და საიმპორტო გადასახადების გადახდის გარეშე;
- მიგრანტების ქონება;
- ფინანსური ლიზინგის ქვეშ მყოფი საქონელი;
- სტატისტიკური აღრიცხვის ქვეყნის ეკონომიკურ ტერიტორიაზე განლაგებული ოფშერული საწარმოების მიერ მიღებული ან გაგზავნილი საქონელი;
- ელექტრონული არხების საშუალებით ექსპორტირებული ან იმპორტირებული საქონელი;
- ექსპლუატაციაში ნამყოფი (მეორადი მოხმარების) საქონელი - აღსანიშნავია, რომ ამ მიზნით საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურას, დაემატა რამდენიმე კოდი სწორედ მეორადი მოხმარების საქონლის აღრიცხვისათვის;
- ნარჩენები და ჯართი, მათ შორის ისეთებიც, რომლებიც გარემოსთვის წარმოადგენენ საშიშ პროდუქტებს და აქვთ გარკვეული საბაზრო ღირებულება;
- მობილური მოწყობილებები, რომლებზეც საკუთრების ცვლილება ხორციელდება მათი თავდაპირველი მესაკუთრის მდებარეობის ქვეყნის ფარგლებს გარეთ;
- და სხვა სახის საქონელი.

რაც შეეხება საქონელს, რომელიც არ ექვემდებარება საქონლით საგარეო ვაჭრობის სტატისტიკაში არღიცხვას, წარმოადგენს:

- მონეტარული ოქრო, რომელიც განიხილება, როგორც საფინანსო აქტივი;

- მიმოქცევაში მყოფი ბანკნოტები, ფასიანი ქაღალდები და მონეტები, რომლებიც წარმოადგენენ ფინანსური უზრუნველყოფის ნიშნებს;
- დროებით შემოტანილი და გატანილი საქონელი;
- სატრანზიტო ტვირთები, რომლებიც კიეტოს კონვენციის თანახმად, გადაადგილდებიან საბაჟო ტერიტორიის გავლით მხოლოდ ტრანსპორტირების მიზნით;
- საქონელი, გაგზავნილი ან მიღებული ტერიტორიული ანკლავებიდან ე.წ. დიპლომატიური ტვირთები უნდა განვიხილოთ, როგორც შიდა სავაჭრო ნაკადები;
- რეზიდენტების მიერ არაფინანსური აქტივების გადაცემა არარეზიდენტის საკუთრებაში, საზღვრის გადაკვეთის გარეშე;
- საქონელი, რომელიც განიხილება, როგორც მომსახურებით ვაჭრობა. ეს კატეგოროა მოიცავს: ა) ყველა კატეგორიის ჩამოსული მგზავრის მიერ შეძენილ და საზღვარზე გადატანილ საქონელს, რომლებიც არ აღემატება ეროვნული კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს; ბ) გაზეთები და პერიოდული გამოცემები, რომლებიც იგზავნება პირდაპირი გამოწერის წესით; გ) საქონელი მოწოდებული უცხოური სახელმწიფოების ანკლავების და ასევე საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ, რომლებიც განლაგებულია მიმღები ქვეყნის ეკონომიკურ ტერიტორიაზე, არ აისახება საგარეო ვაჭრობის სტატისტიკაში იქიდან გამომდინარე, რომ საგადასახდელო ბალანსის შედგენის მეთოდოლოგიის თანახმად, ისინი მიეკუთვნებიან მომახურების კატეგორიას; დ) ინფორმაციის მატარებელი, რომლებზეც ჩაწერილია პროგრამული უზრუნველყოფა, შექმნილი ინდივიდუალური დაკვეთით;
- საქონელი რომელიც დაიკარგა ან განადგურდა გზაში ექსპორტიურო ქვეყნის ეკონომიკური ტერიტორიის საზღვრებს გარეთ, მაგრამ იმპორტიორი ქვეყნის ეკონომიკურ ტერიტორიაზე შეტანამდე, არ აისახება იმპორტიორი ქვეყნის ექსპორტში, მაგრამ უნდა აისახოს ექსპორტიორი ქვეყნის ექსპორტში;

- საქონელი, რომელიც გამოიყენება ტვირთების ტრანსპორტირების საშუალებად (ხომალდები, საფრენი აპარატები, კონტეინერები და სხვა);
- სარემონტოდ განკუთვნილი საქონელი;
- და სხვა საქონელი.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის 2010 წლის რეკომენდაციების თანახმად, ზოგიერთი კატეგორიის საქონელი, მიუხედავად იმისა ხვდება თუ არა საგარეო ვაჭრობის სტატისტიკაში, ნებისმიერ შემთხვევაში ცალკე უნდა აღირიცხოს საგადასახდელო ბალანსისა (BPM6) და ეროვნული ანგარიშების (SNA-2008) წარმოების საჭიროებიდან გამომდინარე.

იმ საქონელთა ჯგუფს, რომელიც უნდა აისახოს საგარეო ვაჭრობის სტატისტიკაში და ასევე, ცალკე აღირიცხოს, მიეკუთვნება:

- გადამუშავებისათვის განკუთვნილი საქონელი საკუთრების უფლებების ცვლილების გარეშე;
- საქონელი, რომელიც გადაკვეთს საზღვარს ურთიერთდაკავშირებულ მხარეებს შორის განხორციელებული ოპერაციების საფუძველზე.

იმ საქონელთა ჯგუფს, რომელიც არ უნდა აისახოს საგარეო ვაჭრობის სტატისტიკაში და ასევე, ცალკე აღირიცხოს, მიეკუთვნება:

- სარემონტოდ ან ტექნიკური მომსახურების მიზნით გადაადგილებული საქონელი. ასეთი სახის ოპერაციები მხოლოდ აღადგენენ ან აუმჯობესებენ არსებული საქონლის ხარისხს, მაგრამ არ იქმნება ახალი პროდუქტი;
- ნარჩენები და ჯართი - ასეთი სახის საქონელი არ უნდა აისახოს საგარეო ვაჭრობის სტატისტიკაში, თუ მათ არ აქვთ კომერციული ღირებულება, მაგრამ უნდა აღირიცხოს ცალკე შესაბამის რაოდენობრივ ერთეულებში;
- საქონელი, რომლის გადაადგილება საზღვარზე ხდება არალეგალურად (მაგალითად, კონტრაბანდული საქონელი, მოპარული სატრანსპორტო

საშუალებები და ნარკოტიკული ტვირთი, რომელთა გამოყენება და შენახვა წარმოადგენს არალეგალურ საქმიანობას);

- საქონელი, რომელიც დაიკარგა ან განადგურდა იმპორტიორზე საკუთრების უფლების გადასვლის შემდეგ.“[1]

1.2 ძირითადი კატეგორიები და დაჯგუფებები საგარეო ვაჭრობის სტატისტიკაში

საგარეო ვაჭრობის სასაქონლო ნაკადების სტრუქტურის ანალიზი წარმოადგენს საერთაშორისო პრაქტიკაში მიღებული სხვადასხვა სასაქონლო კლასიფიკაციების გამოყენბით. რომლებსაც გააჩნიათ დეტალიზაციის განსხვავებული დონეები. განსაზღვრული სასაქონლო ნომეკლატურის გამოყენების არსი იმაში მდგომარეობს, რომ კონკრეტული ნალიტიკური მიზნებისთვის შესაძლებელი იყოს საქონლის გამოყოფა მისთვის დამახასიათებელი ნიშნების მიხედვით, რაც აუცილებელია საგარეო ვაჭრობის განვითარებისათვის.

ძალზე დეტალური კლასიფიკაციის გამოყენება აუცილებელია საბაჟო და სტატისტიკური მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. ეკონომიკური ანალიზისათვის ყველაზე მისაღები, კლასიფიკაციათა შორის, საერთაშორისო სტანდარტული სავაჭრო კლასიფიკაციაა (SITC), სადაც საქონელი კლასიფიცირებულია მისი წარმოების სტადიების მიხედვით. ანალიტიკური მიზნებისთვის ასევე გამოიყენება კლასიფიკაცია ფართო ეკონომიკური კატეგორიების მიხედვით (BEC), სადაც საქონლის მსხვილი ეკონომიკური ჯგუფები კლსიფიცირებულია მათი საბოლოო გამოყენების მიხედვით.

[1] „საქონლით საერთაშორისო ვაჭრობის სტატისტიკა, კონცეფციები და განსაზღვრებები, 2010 წ.“ (გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ნიუ იორკი, 2011 წ.) და „საქონლით საერთაშორისო ვაჭრობის სტატისტიკა: სახელმძღვანელო შემდგენელთათვის (გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ნიუ იორკი, 2013 წ.)

2012 წელს საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის წარმოებაში, საერთაშორისოდ აღიარებული პრაქტიკის შესაბამისად, საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის ჰარმონიზებული სისტემის HS 2007 ვერსიიდან გადავიდა ახალ HS 2012 ვერსიაზე. 2017 წლიდან კი საქსტატი ეტაპობრივად გადადის 2012-2017 წლის სასაქონლო ნომეკლატურის კომბინირებულ ვარიანტზე. ჰარმონიზებული სისტემის ზოგადი სტრუქტურა, რომელსაც დღეს საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური იყენებს „შედგება 22 კარისგან და 99 ჯგუფისგან.

კარი I - ცოცხალი ცხოველები; ცხოველური წარმოშობის პროდუქტები;

კარი II - მცენარეული წარმოშობის პროდუქტები;

კარი III - ცხოველური ან მცენარეული წარმოშობის ცხიმები და ზეთები და მათი გახლეჩის პროდუქტები; მზა საკვები ცხიმები; ცხოველური ან მცენარეული წარმოშობის ცვილები; კარი IV - კვების მზა პროდუქტები; ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელები და ძმარი; თამბაქო და მისი შემცვლელები;

კარი V - მინერალური პროდუქტები;

კარი VI - ქიმიური და მასთან დაკავშირებული მრეწველობის დარგების პროდუქცია;

კარი VII - პლასტმასები და მათი ნაწარმი; კაუჩუკი, რეზინი და მათი ნაწარმი;

კარი VIII - დაუმუშავებელი ტყავები, გამოქნილი ტყავი, ნატურალური ბეწვი და მათი ნაწარმი; სასარაჯო-საუნაგირე ნაწარმი და აკაზმულობა; სამგზავრო ნივთები, ქალის ჩანთები და ანალოგიური საქონელი; ნაწარმი ცხოველების ნაწლავებისაგან (აბრეშუმის ჭიის ფიბრიონის ბოჭკოს გარდა);

კარი IX - მერქანი და მერქნის ნაწარმი; ხის ნახშირი; კორპი და მისი ნაწარმი; ჩალის, ალფის ან სხვა მასალის წნული; კალათები და სხვა მოწნული ნაწარმი;

კარი X - მასა მერქნის ან სხვა ბოჭკოვანი და ცელულოზური მასალებისგან; რეგენერირებული ქაღალდი ან მუყაო (მაკულატურა და ნარჩენები); ქაღალდი, მუყაო და მათი ნაწარმი;

კარი XI - ტექსტილის (საფეიქრო) მასალები და ტექსტილის ნაწარმი;

კარი XII - ფეხსაცმელი, თავსაბურავები, ქოლგები, მზისაგან დასაცავი ქოლგები, ხელჯოხები და ხელჯოხ-დასაჯდომები, შოლტები, მათრახები და მათი ნაწილები; დამუშავებული ნაკრტენი და მისი ნაწარმი; ხელოვნური ყვავილები; ნაწარმი ადამიანის თმისაგან;

კარი XIII - ქვის, თაბაშირის, ცემენტის, აზბესტის, ქარსის ან ანალოგიური მასალების ნაწარმი; კერამიკული ნაწარმი; მინა და მისი ნაწარმი;

კარი XIV - მარგალიტი ბუნებრივი ან კულტივირებული, ძვირფასი ან ნახევრადძვირფასი ქვები; ძვირფასი ლითონები, ძვირფასი ლითონებით მიტკეცილი ლითონები და მათი ნაწარმი; ბიჟუტერია; მონეტები 20

კარი XV - არაძვირფასი ლითონები და მათი ნაწარმი;

კარი XVI - მანქანები, მოწყობილობები და მექანიზმები; ელექტროტექნიკური მოწყობილობები; მათი ნაწილები; ბგერათჩამწერი და ბგერათაღმწარმოებელი აპარატურა; სატელევიზიო გამოსახულებისა და ხმის ჩამწერი და აღმწარმოებლი აპარატურა, მათი ნაწილები და საკუთნოები;

კარი XVII - მიწისზედა სატრანსპორტო საშუალებები, საფრენი აპარატები, მცურავი საშუალებები და ტრანსპორტთან დაკავშირებული მოწყობილობები და დანადგარები;

კარი XVIII - ინსტრუმენტები და აპარატები ოპტიკური, ფოტოგრაფიული, კინემატოგრაფიული, საზომი, საკონტროლო, პრეციზიული, სამედიცინო ან ქირურგიული; ყველა სახის საათები; მუსიკალური ინსტრუმენტები; მათი ნაწილები და საკუთნოები;

კარი XIX - იარაღი და საბრძოლო მასალები; მათი ნაწილები და საკუთნოები;

კარი XX - სხვადასხვა სამრეწველო საქონელი;

კარი XXI - ხელოვნების ნიმუშები, საკოლექციო ნივთები და ანტიკვარიატი;

კარი XXII - კლასიფიკაციის განსაკუთრებული პირობები; საქონელი, რომელიც არ არის განკუთვნილი ეკონომიკური საქმიანობისათვის“.[2]

რაც შეეხება საგარეო ეკონომიკური საქმოანიბის ეროვნულ სასაქონლო ნომეკლატურას (სეს ესნ), იგი წარმოადგენს გარკვეული სახის სისტემატიზირებულ საგარეო ვაჭრობის საქონელთა ნუსხას. საგარეო ეკონომიკური საქმოანობის ეროვნულ სასაქონლო ნომეკლატურას საფუძვლად უდევს ე.წ. საქონლის აღწერის და კოდირების ჰარმონიზებული სისტემის ნომეკლატურა რომელსაც დღეისათვის მთელ მსოფლიოში აქტიურად გამოიყენებენ. აქედან გამომდინარე HS - კლასიფიკაციის პრინციპები მთლიანადაა გათვალისწინებული სეს -ესნ-ში.

[2] https://www.rs.ge/common/get_doc.aspx?id=9029

თავი 2 საქართველოდან დსთ-ს ქვეყნებში საქონლის ექსპორტის სტატისტიკური ანალიზი

2.1 დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობასთან ვაჭრობის როლი საქართველოს ეკონომიკაში

თანამედროვე პორობებში ეკონომიკური კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად ქვეყნები აქტიურად მონაწილეობენ სავაჭრო შეთანხმებებში. ქვეყნები ასევე მონაწილეობენ საერთაშორისო სავაჭრო შეთანხმებებში გარკვეული სუბიექტური ხასიათის პოლიტიკური და ეკონომიკური მიზნების მისაღწევად.

მსოფლიო ეკონომიკის განვითარების ტემპებმა და პარალელურად ეროვნული ეკონომიკების აქტიურმა სწრაფვამ გლობალიზაციისკენ, ბუნებრივად დააჩქარა ქვეყნებს შორის ურთიერთქმედება და ეკონომიკური კავშირების გაღრმავება. თანამედროვე მსოფლიოში თითქმის ყველა ქვეყანაა ჩართული საერთაშორისო ვაჭრობაში და აქტიურად მონაწილეობენ ერთმანეთშ, როგორც საქონლის, ასევე მომსახურების გაცვლაში. გამონაკლისს არც საქართველო წარმოადგენს. საქართველოს ეროვნული სტატისტიკის სამსახურის მონაცემების თანახმად, საქართველოს ექსპორტი უკანასკნელ 25 წლის განმავლობაში 24 ჯერ გაიზარდა და 2019 წელს 3 766 366 ათას აშშ დოლარს შეადგინა (1995 წელს 155 199 ათასი აშშ დოლარს შეადგენდა), საიდანაც ყველაზე დიდი წილი დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრ ქვეყნებზე მოდიოდა :

გრაფიკი 1. საქართველოს ექსპორტი ქვეყნების ჯგუფების მიხედვით (მონაცემები აღებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებ გვერდიდან)



რაც წინა წელთან შედარებით 4% -ით მეტია (2018 წელს საქართველოს მთლიანი ექსპორტი შეადგენდა 3 355 721,2 ათას აშშ დოლარს აქედან დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის (დსთ) ქვეყნებიში განხორციელებული ექსპორტი 1 669 480 ათასი აშშ დოლარი იყო, რაც დაახლოვებიტ 49%-ის ტოლია). აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ 1995 წლიდან მოყოლებული საქართველოს ექსპორტის მთავარი ადრესატები სწორედ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნები არიან.

დამოუკიდებელი სახელმწიფოთა თანამეგობრობა [3] მთავრობათაშორისი საერთაშორისო ორგანიზაციაა, რომელიც შეიქმნა 8.12.1991 რუსეთის ფედერაციის, ბელორუსისა და უკრაინის მიერ ქ. მინსკში (ბელორუსი) ხელმოწერილი შეთანხმების საფუძველზე (უკრაინამ დსთ 2018 წელს, რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიის შემდგომ დატოვა). იმავე წლის 21 დეკემბერს ალმა-ათაში ხელმოწერილ იქნა ოქმი, რომლითაც სომხეთი, ყაზახეთი, მოლდოვა, ტაჯიკეთი, თურქმენეთი და უზბეკეთი შეუერთდნენ ბელოვეჟის შეთანხმებას; მიღებულ იქნა, აგრეთვე, ალმა-ათის დეკლარაცია, რომელშიც

[3] ინფორმაცია დამოუკიდებელი სახელმწიფოთა თანამეგობრობის შექმნასთან დაკავშირებით მოპოვებულია საიტიდან http://www.nplg.gov.ge/

ხაზგასმულია, რომ „დსთ არ არის არც სახელმწიფო, არც ზესახელმწიფოებრივი წარმონაქმნი“ და რომ იგი ეყრდნობა საერთაშორისო სამართლის პრინციპებს; რომ დსთ არც საერთაშორისო ორგანიზაციაა, იგი სუვერენულ სახელმწიფოთა კავშირია, რომლის ორგანოებს მაკოორდინირებელი ფუნქციები აქვთ და მათი გადაწყვეტილება სავალდებულოა მხოლოდ იმ მონაწილისათვის, რომელიც ეთანხმება მას. საქართველო დსთ-ს 9.12.1993 შეუერთდა (2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდგომ, საქართველომ მოითხოვა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის დატოვება, ხოლო 2009 წელს საქართველო გამოეყო დსთ-ს). ინსტიტუტების მეშვეობით, რომელთა შორის ძირითადი ორგანოებია: სახელმწიფოთა მეთაურების საბჭო, მთავრობათა მეთაურების საბჭო, საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭო, სახელმწიფოთაშორისი ეკონომიკური კომიტეტი, სასაზღვრო ჯარების სარდლების საბჭო, აღმასრულებელი სამდივნო, ეკონომიკური სასამართლო, საპარლამენტთაშორისო ასამბლეა. ამას გარდა, დსთ-ს წესდებისა და შეთანხმების საფუძველზე დაფუძნებულია დარგობრივი თანამშრომლობის ორგანოები ეკონომიკის, სოციალურ და სხვა სფეროებში, რომელთა შემადგენლობაშიც შედიან აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა ხელმძღვანელები. აჟამად დსთ-ს აქვს 54 ასეთი ორგანო, რომლებიც შექმნეს სამინისტროებმა და უწყებებმა კონკრეტული პრაქტიკული მიზნებით. სოციალურ-ეკონომიკურ სფეროში შექმნილია 38 დარგობრივი საბჭო და კომიტეტი. საწესდებო ორგანოებსა და მათ სამუშაო აპარატში დასაქმებულია 850-ზე მეტი, ხოლო დარგობრივ ორგანოებში - 500-ზე მეტი კაცი. სახელმწიფო მეთაურების, მთავრობათა მეთაურების, საგარეო საქმეთა მინისტრების საჭიროებისა და 6 დარგობრივი ორგანოს მუშა აპარატის ფუნქციებს ასრულებდა აღმასრულებელი სამდივნო, 11 დარგობრივი ორგანოსას - სახელმწიფოთაშორისი ეკონომიკური კომიტეტი, 7 დარგობრივი ორგანოსას კი - თავმჯდომარე ქვეყნების სხვადასხვა უწყებები.

საწესდებო ორგანოების შექმნის დღიდან თითქმის ყველა ორგანოში თავმჯდომარეობდა რუსეთის ფედერაცია და მხოლოდ 1998 წლის ოქტომბერში მოსკოვის სამიტმა თანამეგობრობის მთავრობათა მეთაურების საბჭოს თავმჯდომარის პოსტის

დასაკავებლად რეკომენდაცია გაუწია უზბეკეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს. დაარსების დღიდან დსთ-ის სახელმწიფოთა მეთაურების საბჭომ და მთავრობათა მეთაურების საბჭომ განიხილეს და მიიღეს 1000-ზე მეტი დოკუმენტი.

წლების განმავლობაში დსთ-ის გადაწყვეტილებათა შეუსრულებლობამ, განსაკუთრებით აგრესიულ სეპარატიზმთან ბრძოლის სფეროში, საფრთხის წინაშე დააყენა მისი არსებობა. დსთ-ის მონაწილე ქვეყნების სახელმწიფოთა მეთაურებმა 1998 წლის კიშინიოვისა და მოსკოვის სამიტებზე მიიღეს გადაწყვეტილება - თანამეგობრობის ორგანოების ძირეული რეფორმებისა და მისი ეფექტიანობის ხარისხობრივი დონის ამაღლების მიზნით გამართულიყო სპეციალური სახელმწიფოთაშორისი ფორუმი, სადაც დაისვა ორი გლობალური საკითხი: არსებული სტრუქტურების კარდინალური რეორგანიზაცია და თავისუფალი სავაჭრო ზონის შექმნა. სახელმწიფოთა მეთაურებს შესთავაზეს თანამეგობრობის ახალი მოდელი, რომელიც დსთ-ის მონაწილე ქვეყნების პრეზიდენტთა უმრავლესობამ მოიწონა. დსთ-ის სახელმწიფო მეთაურების საბჭომ 2.4.1999 მიიღო გადაწყვეტილება თანამეგობრობის ორგანოების რეფორმებისა და სრულყოფის შესახებ. ამ გადაწყვეტილების თანახმად, აღმასრულებელი სამდივნო, სახელმწიფოთაშორისი და მთავრობათაშორისი დარგობრივი ორგანოების მუშა აპარატი გარდაიქმნა დსთ-ის აღმასრულებელ კომიტეტად, რომელიც თანამეგობრობის ერთადერთ მუდმივმოქმედ აღმასრულებელ, ადმინისტრაციულ და მაკოორდინირებელ ორგანოდ იქცა.

დღეის მონაცემებით დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრი ქვეყნები არიან:

- რუსეთი: მოსახლეობა_145 929 149; მშპ_ 1 750 მილიარდი აშშ დოლარი
- ბელარუსი: მოსახლეობა_ 9 449 587; მშპ_ 60,45 მილიარდი აშშ დოლარი
- მოლდოვა: მოსახლეობა_ 4 034 756; მშპ _ 12 მილიარდი აშშ დოლარი
- ყაზახეთი: მოსახლეობა_ 17 757 367; მშპ _ 168,5 მილიარდი აშშ დოლარი
- აზერბაიჯანი: მოსახლეობა_ 10 131 336; მშპ _ 57 მილიარდი აშშ დოლარი

- სომხეთი: მოსახლეობა _ 2 962 772; მშპ _ 13,3 მილიარდი აშშ დოლარი
- ყირგიზეთი: მოსახლეობა_ 6 514 875; მშპ_ 8,35 მილიარდი აშშ დოლარი
- უზბეკეთი: მოსახლეობა _ 33 427 309; მშპ _ 55 მილიარდი აშშ დოლარი
- ტაჯიკეთი: მოსახლეობა _ 9 518 958; მშპ _ 8 მილიარდი აშშ დოლარი

გარდა აღნიშნული 9 წევრი ქვეყნისა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამგეგობრობას ჰყავს 1 ასოცირებული წევრი თურქმენეთის სახით , რომლის მოსახლეობაც 6 023 542 ადამიანია ხოლო მთლიანი შიდა პროდუქტი _ 42 მილიარდი აშშ დოლარი.

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ჯამური მოსახლეობა 239 726 109 კაცს შეადგენს (245 749 651 თურქმენეთის ჩათვლით). ხოლუ მთლიანი შიდა პროდუქტი _ 2 132,6 მილიარდ აშშ დოლარს (2 174,6 მილიარდი აშშ დოლარი თუ თურქმენეთსაც გავითვალისწინებთ)

2.2 საქართველოს ექსპორტი დამოუკიდებელი სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნებთან

საქართველოს საგარეო ვაჭრობის ძირითადი ტენდენციები

იმისათვის, რომ ზოგადი წარმოდგენა შეგვექმნას საქართველოს საგარეო ვაჭრობის შესახებ, საჭიროა მოვახდინოთ საქართველოს საგარეო ვაჭრობის მონაცემთა ანალიზი, ჩვენს შემთხვევაში განვიხილოთ საქართველოს საგარეო ვაჭრობა 1995 წლიდან (საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურის ვებ გვერდზე, სტატისტიკური მონაცემთა ბაზები სწორედ 1995 წლიდან იწყება) 2019 წლამდე :

გრაფიკი 2. საქართველოს საგარეო ვაჭრობა 1995-2019 წლებშ (მილიარდი აშშ დოლარი), საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით.



1995 წლიდან 2019 წლამდე საქართველოს იმპორტის მოცულობა 488,7 მილიონი აშშ დოლარიდან 9 120,3 მილიონ აშშ დოლარამდე გაიზარდა, ხოლო ექსპორტი 155,2 მილიონი აშშ დოლარიდან 3 766,3 მილიონ აშშ დოლარამდე. სავაჭრო ბრუნვის ზრდა, ქვეყნის ეკონომიკისთვის კაია, და იმას ნიშნავს, რომ ქვეყანა აქტიურადაა ჩართული საერთაშორისო სავაჭრო პროცესში. საქართველოს შემთხვევაში, სავაჭრო ბრუნვის ზრდა განპირობებული იყო იმპორტის ზრდით, კერძოდ, საქართველოს საგარეო უარყოფითი სავაჭრო სალდო 333 მილიონ აშშ დოლარიდან 5 354 მილიონ აშშ დოლარამდე გაიზარდა. ექსპორტის საშუალო წლიური ზრდის ტემპი 1995 წლიდან 2019 წლმადე 14,2%-ს შეადგენს. რაც შეეხება იმპორტს, იგი წლიურად 12,9% -ით იზრდებოდა. სწორედ ამ ფაქტის გამო, უარყოფითი საგარეო სავაჭრო სალდო სულ უფრო და უფრო დიდი ხდებოდა, 1995 წლიდან 2019 წლიამდე მისი საშუალო ზრდის ტემპი 12,3%-ს შეადგენდა. რაც რა თქმა უნდა ნეგატიურ გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკაზე (ძირითადად უარყოფითი სავაჭრო სალდოს დაბალანსება საგარეო ვალის ხარჯზე ხდება).

რაც შეეხება ექსპორტს ერთ სულ მოსახლეზე, 1995 წლიდან 2019 წლის ჩათვლით საქართველოში შემდეგი მდგომარეობაა:

გრაფიკი 3. ექსპორტი ერთ სულ მოსახლეზე აშშ დოლარში. მონაცემები ექსპორტისა და საქართველოს მოსახლეობს შესახებ აღებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებ გვერდიდან.



როგორც გრაფიკზე ჩანს, საქართველოს ექსპორტი ერთ სულ მოსახლეზე ზრდადობით ხასიათდება. დაკვირვებადი პერიოდის დასაწყისშ (1995 წელს) ის მხოლოდ 32,7 აშშ დოლარს შეადგენდა, ხოლო გასულ წელს აღნიშნული მაჩვენებელი 1011,5 აშშ დოლარამდე გაიზარდა. რაც იმას ნიშნავს, რომ წლიური ზრდის ტემპი 15%-ს შეადგენდა, თუ აღნიშნული მაჩვენებელი მსგავსი ტემპით განაგრძობს ზრდას უახლოვეს 5 წელში საქართველოს ექსპორტი ერთ სულ მოსახლეზე 2000 აშშ დოლარზე მეტი იქნება, ხოლო 25 წელში 36 ათასზე მეტი, რაც საქართველოს მსოფილიოში მოწინავე ექსპორტიორ ქვეყნების სიაში ღირსეულ ადგილს დაუმკვიდრებს. იქიდან გამომდინარე, რომ 1995 წელს საქართველოდან ექსპორტი თითქმის არ ხორციელდებოდა აღნიშნული ზრდის ტემპი რეალურ სურათს ზუსტად ვერ ასახავს. უკეთესი ანალიზისთვის უმჯობესია ავიღოთ ბოლო 10 წლის მონაცემები: საქართველოს ექსპორტი ერთ სულ მოსახლეზე 2010 წელს შეადგენდა 441,4 აშშ დოლარს , ხოლო 2019 წელს, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, 1011,5 აშშ დოლარამდე გაიზარდა. აღნიშნულ პერიოდშ საშუალო წლიური ზრდის ტემპი 9,6%

დაფიქსირდა. თუ 9,6% -იანი ზრდის ტემპით მოვახდენთ ექსპორტის ერთ სულ მოსახლეზე პროგნოზირებას, 5 წლის შემდეგ ეს მაჩვენებელი 1603 აშშ დოლარი იქნება ხოლო 25 წლის შემდეგ 10 123 აშშ დოლარი, რაც შედარებით უკეთ ასახავს რეალურ სურათს.

ზოგადი ანალიზისთვის განვიხილოთ საგარეო ვაჭრობის ქვოტა რომელის გაიანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$\textit{საგარეო ვაჭრობის ქვოტა} = \frac{\textit{საგარეო ვაჭრობის ბრუნვა}}{\textit{მშპ}} X\ 100$$

გრაფიკი 4. საქართველოს საგარეო ვაჭრობის ქვოტა



როგორც დიაგრამაზე ჩანს, საგარეო სავაჭრო ქვოტა ზრდადი ტენდენციით ხასიათდება. აღსანიშნავია 2009 წელს მომხდარი ერთგვარი ვარდნა, რაც განპირობებული იყო საქართველოსა და რუსეთს შორის მომხდარი სამომარი კომფლიკთით, აღნიშნულ პერიოდში საგარეო ვაჭრობის ქვოტა 52%-მდე შემცირდა.

თუმცა, საგარეო ვაჭრობის ქვოტას გააჩნია გარკვეული ნაკლოვანებები, მხოლოდ მასზე დაყრდნობა ვერ მოგვცემს ზუსტ ინფორმაციას საგარეო ვაჭრობის გახსნილობასთან დაკავშირებით. მსგავსი ინფორმაციის მისაღებად აუცილებელია გავითვალისწინოთ მთელი რიგი ფაქტორები, მაგალითად : საიმპორტო და საექსპორტო ტარიფები , სავალუტო პოლიტიკა , ადგილობრივი გადასახადები, სუბსიდიები , არასავაჭრო ბარიერები და სხვა

საგარეო ვაჭრობის ზრდა გარკვეულწილად განპირობებულია სახელმწიფოს მიერ გატარებული რეფორმებით. დღეს დღეისობით საქართველოს გააჩნია მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ლიბერალური საგარეო სავაჭრო პოლიტიკა, რაც გულისხმობს დაბალ საიმპორტო და საექსპორტო გადასახადებს.

მაგალითისთვის შეგვიძლია განვიხილოთ საქართველოს მიერ ავტომობილების განბაჟებასთან დაკავშირებით განხორციელებული რეფორმები, კერძოდ კი : ავტომობილის იმპორტიორს შეუძლია პირველი 90 დღის განმავლობაში არ განაბაჟოს იმპორტირებული ავტომობილი. თუ მან იგი 90 დღის განმავლობაში ვერ გაყიდა შეუძლია ავტომობილი გადაიყვანოს საბაჟო ტერმინალის ზონაში და პირდაპირი იქიდან გაიყვანოს რეექსპორტზე განბაჟების გარეშე. რაც იმას ნიშნავს, რომ ავტომობილის რეექსპორზე მომუშავე პირებს შეუძლიათ საკუთარი საქმიანობა განბაჟების გარეშე შეასრულონ, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს აღნიშნული სფეროს განვითარებას. სწორედ ამიტომ უკანასკნელ პერიოდში საქართველოდან ავტომობილების რეექსპორტი სწრაფი ტემპით იზრდება. 2019 წლის განმავლობაში საქართველოდან მსუბუქი ავტომობილების ექსპორტი დაახლოვებით 70%-ით გაიზარდა.

2019 წლის მონაცემებით, საქართველოდან მსუბუქი ავტომობილების რეექსპორტის მიხედვით ქვეყნების ათეული შემდეგნაირად გამოიყურება:

1. აზერბაიჯანი _ 248 769 000 აშშ დოლარი;
2. სომხეთი _ 214 453 000 აშშ დოლარი;
3. უკრაინია _ 71 991 000 აშშ დოლარი;
4. ყირგიზეთი _ 49 000 000 აშშ დოლარი

5. არაბთა გაერთიანებული საემიროები _ 45 301 000 აშშ დოლარი;
6. ყაზახეთი _ 11 774 000 აშშ დოლარი;
7. რუსეთი _ 7 269 000 აშშ დოლარი;
8. უზბეკეთი _ 3 734 000 აშშ დოლარი;
9. ტაჯიკეთი _ 3 223 000 აშშ დოლარი;
10. პანამა _ 2 598 000 აშშ დოლარი.

2014 წლამდე ავტომობილები საქართველოს წამყვანი საექსპორტო საქონელი იყო. 2007 წლიდან 2013 წლამდე მათი ვაჭრობიდან მიღებული შემოსავლები დაახლოვებით 10 ჯერ გაიზარდა. შესაბამისად გაიზარდა ავტომობილების რაოდენობა, ყოველ წლიურად სულ უფრო და უფრო მეტ ადამიანს სურს ავტომობილების უცხოეთში გაყვანით მიიღოს შემოსავალი.

საქართველოს ექსპორტი დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნებში.

დამოუკიდებელი სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნები, საქართველოსთვის საგარეო ვაჭრობაში მნიშველოვან როლს თამაშობენ. 2019 წლის მონაცემებით საქართველოს ექსპორტის 53%, ხოლო იმპორტის 26% სწორედ ამ ქვეყნებში/ქვეყნებიდან განხორციელდა.

სქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2019 წელს საქართველო ექსპორტის ყველაზე დიდი ნაწილი (13,22 %) აზერბაიჯანში განახორციელა, აზერბაიჯანის შემდეგ საქართველომ ყველაზე მეტი ექსპორტი საქართველომ რუსეთში განახორციელა (13,2%). 2019 წელს საქართველომ სომხეთში მთლიანი ექსპორტის 12,5% განახორციელა, რომელსაც მხოლოდ რუსეთსა და აზერბაიჯანში განხორციელებული ექსპორტის ოდენობა აღემატება. ის ფაქტი, რომ საქართველოს უმსხვილესი საექსპორტო

ქვეყნებში პირველი 3 ადგილი დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნებს უკავიათ, ხაზს უსვამს მათ მნიშვნელობას საქართველოს საგარეო ვაჭრობაში.

ცხრილი 1 საქართველოს ექსპორტი დსთ-ს ქვეყნებში. ათასი აშშ დოლარი (მონაცემები აღებულია საქ. სტატის ვებ გვერდიდან)

ქვეყანა	2010 წელი	2019 წელი
აზერბაიჯანი	256 241,8 (15,3%)	498 194,7 (13,2%)
ბელარუსი	23 775,3 (1,4%)	44 254,8 (1,1%)
თურქმენეთი	12 634,2 (0,8%)	59 287,0 (1,5%)
მოლდოვა	7 745,7 (0,5%)	8 950,4 (0,2%)
რუსეთი	34 706,5 (2,1%)	497 207,0 (13.2%)
სომხეთი	166 750,6 (9,9%)	413 279,8 (10,9%)
ტაჯიკეთი	2 852,4 (0,2%)	8 869,7 (0,2%)
უზბეკეთი	8 207,6 (0,5%)	89 112,1 (2,3%)
უკრაინა	110 338,4 (6,6%)	245 478,9 (6,5%)
ყაზახეთი	50 056,6 (3%)	68 340,3 (1,8%)
ყირგიზეთი	3 309,2 (0,2%)	71 811,6 (1,9%)
სულ	**676 618,2 (40,3%)**	**2 004 786,4 (53,2%)**

ცხრილში ნაჩვენებია საქართველოს ექსპორტი დსთ-ს ქვეყნებთან და მათი წილი საქართველოს მთლიან ექსპორტში დეკადის დასაწყისში და დეკადის ბოლოს, მარტივი შესამჩნევია ის ფაქტი, რომ რუსეთში ექსპორტი 2010 წელს საგრძნობლივ ნაკლები იყო 2019 წელთან შედარებით. აღნიშნული ფაქტი განპირობებულია იმ დროინდელი საქართველო-რუსეთს შორის არსებული პოლიტიკურ ეკონიმუკირი მდგომარეობით. 2005 წელს

რუსეთსი ექსპორტი მთლიანი ექსპორტის 17,8%-ს შეადგენდა, ხოლო 2009 წელს აღნიშნული მაჩვენებელი 1,8%-მდე შემცირდა.

რაც შეეხება 1 სულ მოსახლეზე ექსპორტს, საქართველო 2019 წელს ყველაზე დიდი მოცულობით ექსპორტს სომხეთში ანხორციელებდა, კერძოდ კი 139,5 აშშ დოლარის ღირებულების საქონელს ყოველ 1 სომხეთის მოქალაქეზე, აზერბაიჯანში ანალოგიური მაჩვენებლი 49,1 აშშ დოლარი იყო, ყირგიზეთში 11 აშშ დოლარი, ხოლო დსთ-ს დანარჩენ ქვეყნებში 5 აშშ დოლარზე დაბალია (საქართველოს ერთ-ერთ უმსხვილეს პარტნიორ ქვეყანაში, რუსეთში აღნიშნული მაჩვენებელი მხოლოდ 3,4 აშშ დოლარია). ყველაზე დაბალი მაჩვენებელი ტაჯიკეთში დაფიქსირდა, სადაც საქართველომ 2019 წელს თითოეულ ტაჯიკეთის მოქალაქეზე მხოლოდ 0,93 აშშ დოლარის ღირებულების ექსპორტი განახორციელა:

ცხრილი 2 საქართველოდან ექსპორტირებული პროდუქტის ღირებულების თანაფარდობა იმპორტიორი ქვეყნის მშპ-სთან და მის მოსახლეობასთან.

ქვეყანა	ექსპორტი იმპორტიორი ქვეყნის ერთ სულ მოსახლეზე	ექსპორტის და იმპორტიორი ქვეყნის მშპ-სთანაფარდობა
რუსეთი	3,407181	0,000284
ბელარუსი	4,683252	0,000732
მოლდოვა	2,218325	0,000746
ყაზახეთი	3,84856	0,000406
აზერბაიჯანი	49,17364	0,00874
სომხეთი	139,4909	0,031074
ყირგიზეთი	11,02271	0,0086
უზბეკეთი	2,665847	0,00162
ტაჯიკეთი	0,931793	0,001109

თურქმენეთი	1,472506	0,000211

რაც შეეხება ექსპორტისა და მშპ-ს თანაფარდობას, დამოუკიდებელი სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნებიდან, ყველაზე მეტს სომხეთი ხარჯავს საქართველოდან სააქონლის იმპორტში, კერძოდ კი , სომხეთის მთლიანი შიდა პროდუქტის 0.031% სწორედ ქართულ საქონელს ეთმობა. დაახლოვებით თანაბარ მოცულობას ხარჯავენ საქართველოდან საქონლის იმპორტირებაში აზერბაიჯანი და ყირგიზეთი (დაახლოვებით ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის 0.0087%-ს). აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ რუსეთზე ნაკლებს მხოლოდ თურქმენეთი ხარჯავს ქართული პროდუქციის იმპორტში. რაც იმაზე მეტყველებს, რომ საქართველო რუსეთისთვის არ წარმოადგენს მნიშვნელოვან სავაჭრო პარტნიორს.

გრაფიკი 5 საქსტატის ვებ გვერდზე არსებული მონაცემების მიხედვით საქართველოს ექსორტი ქვეყნების მიხედვით დსთ-ში 2019წ.



იმისათვის, რომ დავინახოთ თუ რა სახის პროდუქტის ექსპორტს ეწევა საქართველო დამოუკიდებელი საელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნებში მოკლედ განვიხილოთ უახლოვეს პერიოდშ განხორციელებული ექსპორტი საქართველოს უდიდეს სავაჭრო პარტნიორებთან:

საქართველოს ექსპორტი აზერბაიჯანში

საქრთველოს ექსპრტის უდიდეს ნაწილს რეექსპორტი წარმოადგენს, კერძოდ კი მიწისზედა ტრანსპორტის საშუალებები, გარდა რკინიგზის ან ტრამვაის მოძრავი შემადგენლობისა. გამონაკლისი არც აზერბაიჯანია, 2019 წელს საქართველომ აზერბაიჯანში ზემოთ აღნიშნული კატეგორიის საქონლის 266,3 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების ექსპორტი განახორციელა , საიდანაც 93,2% მსუბუქი ავტომობილები იყო (248,2 მილიონი აშშ დოლარი). მიწისზედა ტრანსპორტის საშუალებების შემდეგ საქართველო აზერბაიჯანში ყველაზე მეტად თამბაქოსა და თამბაქოს სამრეწველო შემცვლელების ექსპორტს ანხორციელებს (46,6 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების რაც აზერბაიჯანში განხორციელებული მთლიანი ექსპორტის 9,3% -ია). რისი თითქმის 100% რეექსპორტია. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საქართველო მიერ აზერბაიჯანში რეექსპორტირებული პროდუქტი მხოლოდ თამბაქო არაა, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ comtrade.un.org-ის მონაცემებით 2019 წელს საქართველომ აზერბაიჯანშ 411,1 აშშ დოლარის ღირებულების საქონლის და მომსახურების რეექსპორტი მოახდინა რაც მთლიანი ექსპორტის 82,6%-ია. ასევე რეექსპორტირებულია ფარმაცევტული პროდუქციის უდიდესი ნაწილი: 2019 წელს საქართველომ აზერბაიჯანში 27,6 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების ფარმაცევტული პროდუქციის ექსპრტი განახორიელა, საიდანაც 90%-ზე მეტი რეექსპრტი იყო. ხოლო რაც შეეხება საქართველოდან აზერბაიჯანში შავი ლითონების ექსპორტს 13,1 მილიონიდან მილიონი აშშ დოლარის ღირებულების პროდუქციიდან მხოლოდ 2,5 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების შავი ლითონის რეექსპორტი განხორციელდა 2019 წელს. შეიძლება ითქვას, რომ საქართველო აზერბაიჯანში ადგილობრივ შავი ლითონის ექსპორტს ანხორციელებს. ასევე ადგილობრივია

წარმოებისაა აზერბაიჯანში ექსპორტირებული ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელები და ძმარი, კერძო 10,2 მილიონი აშშ დოლარიშ ღირებულების პროდუქციიდან მხოლოდ 2,2 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების ალკოჰოლური და უალკოჰოლო სასმელებია რეექსპორტირებული 2019 წელს საქართველოდან აზერბაიჯანში.

საქართველოს ექსპორტი რუსეთში

აზერბაიჯანის შემდეგ 2019 წელს საქართველომ ყველაზე დიდი ღურებულების ექსპორტი რუსეთში განახორიელა. აზერბაიჯანისგან განსხვავებით რუსეთში განხორციელებული ექსპორტის უდიდესი ნაწილი სამამულო წარმოების პროდუქტი იყო, 497,1 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების პროდუქტიდან მხოლოდ 64,8 (დაახლოვებით 13%) მილიონი აშშ დოლარის პროდუქციის რეექსპორტი მოხდა 2019 წელს რუსეთში. ამის მთავარი განმაპირობებელი ფაქტორი ექსპორტირებული პროდუქციის კატეგორიებია: თუ აზერბაიჯანში ექსპორტირებული საქონლის ღირებულებაში მსუბუქი ავტომობილები ლიდერობდა, საქართველო რუსეთში უმეტესად ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელების ექსპრტს ეწევა. კერზოდ, 2019 წელს საქართველოდან რუსეთსი ექპორტირებული იქნა 240,6 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელები და ძმარი (რისიც თითქმის 100% სამამულო წარმოების იყო), რაც რუსეთში ექსპორტირებული საქონლის 48,4%-ს შეადგენს. ალკოჰოლიან და უალკოჰოლო სასმელებში საქართველო ძირითადად ყურძნის ნატურალურ ღვინოსა (2019 წელს 133,1 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების) და მინერალური წყლების (2019 წელს 60,6 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების) ექსპორტს ეწევა რუსეთის ფედერაციაში.

ასევე ადგილობრივი წარმოების 114,5 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების შავი ლითონები იქნა ექსპორტირებული 2019 წელს საქართველოდან რუსეთში. ძირითადად სამამულო წარმოებისაა საკვებად ვარგისი ნაყოფი და კაკალი, ციტრუსების ან ბახჩეული კულტურების ქერქი და კანი რომელის ექსპორტსაც საქართველო ანხორციელებს რუსეთის ფედერაციაში, კერძოდ 2019 წელს ექსპორტირებული 36,5 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების პროდუქტის მხოლოდ 5% იყო რეექსპორტი. რაც შეეხება საქართველოდან

რუსეთში განხორციელებული რეექსპორტის უდიდეს ნაწილს: 2019 წელს 19,8 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების ექსპორტირებული ფარმაცევტული პროდუქციის თითქმის 100% რეექსპორტი იყო, ასევე რეექსპორტებული იქნა 7,8 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების მიწისზედა ტრანსპორტის საშუალებები.

საქართველოს ექსპორტი სომხეთში

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით 2019 წელს საქართველომ სომხეთში 413,2 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების პროდუქტისა და მომსახურების ექსპორტირება მოახდინა, რაც გასულ წელთან შედარებით 48%-ით მეტია. ექსპორტის ასეთი დიდი ზრდა განპირობებულია რეექსპორტირებული მიწისზედა ტრანსპორტის საშუალებების მოცულობის ზრდით, 2018 წლისგან შედარებით 2019 წელს აღნიშნული პროდუქტი 134,9 მილიონი აშშ დოლარის ღირებულებით მეტი იქნა ექსპორტირებული საქართველოდან სომხეთში და მან 251,9 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა საიდანაც თითქმის 100% რეექსპორტი იყო. საინტერესო ფაქტი დაფიქსირდა ციტრუსების ექსპორტში, 2019 წელს 2018 წელთან შედარებით მათი ექსპორტი შემცირდა დაახლოვებით 3 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით, მიუხედავად ამისა ადგილობრივი წარმოების ციტრუსების ექსპორტირება გაიზარდა 1 მილიონი აშშ დოლარით, რაც იმას ნიშნავს, რომ აღნიშნული პროდუქტის ექსპორტის შემცირება სომხეთში განპირობებული იყო რეექსპორტირებული ციტრუსების ოდენობის შემცირებით.

საქართველოს ექსპორტი უკრაინაში

2019 წელს საქართველომ უკრაინაში 246 მილიონ აშშ დოლარის ღირებულების საქონლისა და მომსახურების ექსპორტი მოახდინა, საიდანაც თითქმის ნახევარი, 112 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების საქონელი რეექსპორტირებული იყო. ექსპორტირებული საქონლის ყველაზე დიდი რაოდენობა ალკოჰოლური და უალკოჰოლო სასმელები იყო, 81 მილიონი აშშ დოლარი. საიდანაც თითქმის 100% სამამულო წარმოების

იყო. 2019 წლის საქართველოდან უკრაინაში ექსპორტირებული იქნა 72,5 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების მიწისზედა ტრანსპორტირების საშუალებები, რომლის 100% რეექსპორტს მიეკუთვნებოდა. სამამულო წარმოების 35,6 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების სასუქების ექსპორტირება მოხდა 2019 წელს საქართველოდან უკრაინაში. სამამულო წარმოების იყო ასევე ექსპორტირებული 5 მილიონი დოლარის ღირებულების ციტრუსი.

როგორც საქართველოს უდიდეს სავაჭრო პარტნიორებთან განხორციელებული ექსპორტის ანალიზში ჩანს, მიწისზედა ტრანსპორტირების საშუალებებს, კერძოდ კი მსუბუქ ავტომობილებს მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ საქართველოს ექსპორტში. განვიხილოთ თუ რა ფასის ავტომობილებს ყიდულობენ საქართველოდან მისი სავაჭრო პარტნიორები

გრაფიკი 6 საქართველოდან ექსპორტირებული მსუბუქი ავტომობილების საშუალო ღირებულება აშშ დოლარებში



როგორც გრაფიკზე ჩანს მსუბუქი ავტომობილების ფასები კლებადი ტენდენციით ხასიათდება. რაც იმას ნიშნავს, რომ 2010 წელს საშუალოდ საქართველოდან ექსპორტირებულ მსუბუქ ავტომობილში უფრო მეტ აშშ დოლარს იხდიდნენ ვიდრე 2019 წელს. აღნიშნული ტენდენცია მხოლოდ დამოუკიდებელი სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნებს ახასიათებს. რადგან დანარცენ მსოფლიოში საქართველოდან იმპორტირებული ავტომობილების ფასი ყოველწლიურად მატულობს.

გრაფიკი 7 საქართველოდან ექსპორტირებული მსუბუქი ავტომობილების საშუალო ღირებულება აშშ დოლარებში



არაბეთის გაერთიანებულ ემირატებში საქართველოდან იმპორტირებულ ავტომობილში 2019 წელს საშუალოდ 70 000 აშშ დოლარს იხდიან , ანალოგიურ მაჩვენებელი სომხეთში 3 900 აშშ დოლარია. ეს განპირობებულია ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობიბით. საქართველოდან სომხეთში ხორციელდება შედარებით დაბალ ფასიანი ავტომობილების ექსპორტი , ხოლო ეკონომიკურად უფრო მძლავრ ქვეყანაში, როგორიცაა არაბთა გაერთიანებული ემირატები, საქართველო ახორციელებს ძვირად ღირებული ავტომობილების ექსპორტს.

გამომდინარე იქიდან, რომ საქართველო ითვლება ღვინის ქვეყნად, განვიხილოთ ექსპორტზე გატანილი ღვინის საშუალო ფასი სავაჭრო პარტნიორების მიხედვით.

გრაფიკი 8 საქართველოდან ექსპორტირებული ღვინის საშუალო ფასი აშშ დოლარებში (1 ლიტრ ღვინოზე)



როგორც გრაფიკზე ჩანს, საქართველოდან ექსპორტირებული ღვინის საშუალო ფასი სტაბილურობით ხასიათდება. სწორედ ამიტომ რთულია განვსაზღვროთ რაიმე ტენდენცია, ღვინის საშუალო ფასის ცვლილება უმეტეს წილად განპირობებულია გაცვლითი კურსის ცვლილებით.

საქართველო, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრიბის ქვეყნებტან ექსპორტირებული ღვინის ფასთან შედარებით უფრო ძვირადღირებული ღვინის ექსპორტს ეწევა ჩინეთში.

გრაფიკი 9 საქართველოდან ექსპორტირებული ღვინის საშუალო ფასი აშშ დოლარებში (1 ლიტრ ღვინოზე)



რაც შეეხება საქართველოს ექსპორტს ტრანსპორტირების სახეების მიხედვით დამოუკიდებელი სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნებში. უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში მას შემდეგი სახე აქვს:

გრაფიკი 10. საქართველოს ექსპორტი ტრანსპორტირების სახეების მიხედვით



გრაფიკის მიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნებში საქართველო ექსპორტს ძირითადად საავტომობილო ტრანსპორტირებით ეწევა, აღნიშნული ფაქტი განპირობებულია იმით, რომ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნები გეოპოლიტიკურ რუკაზე საქართველოს საზღვრებთან ახლოს არიან, კერძოდ 3 უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი აზერბაიჯანი, სომხეთი და რუსეთი საქართველოს მოსაზღვრე ქვეყნები არიან.

გრაფიკი 11. 2019 წელს საქართველოს მიერ განხორციელებული ექსპორტი ტრანსპორტირების სახეების მიხედვით



2019 წლის მონაცემების თანახმად საქართველო მთლიანი ექსპორტის 39%-ის ტრანსპორტირებას საზღვაო გზით ახდენს, ანალოგიური მაჩვენებელი დსთ-ს ქვეყნებში ექსპორტირებული საქონლის მხოლოდ 18%-ს შეადგენს. აქედან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველო მეზობელ/გეოგრაფიულად ახლო მდებარე ქვეყნებში ექსპორტის ტრანსპორტირებას ძირითადად საავტომობილო და სარკინიგზო საშუალებებით ახდენს. ხოლო როდესაც სავაჭრო პარტნიორი გეოპოლიტიკური მდებარეობა საქართველოს საზღვრებიდან მოშორებულია, ტრანსპორტირების საშუალებები იცვლება, კერძოდ კი საავტომობილო და სარკინიგზო საშუალების ნაცვლად, ექსპორტირებული საქონლის ტრანსპორტირება საჰაერო და საზღვაო გზებით ხორციელდება. მაგალითად ჩინეთში განხორციელებული ექსპორტის 86%-ს ტრანსპორტირება საზღვაო საშუალებებით ხდება.

გრაფიკი 12. 2019 წელს საქართველოს მიერ განხორციელებული ექსპორტი ჩინეთსი, ტრანსპორტირების სახეების მიხედვით



2.3 დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობასთან საქართველოს საგარეო ვაჭრობის მაჩვენებლების პროგნოზირება გრძელვადიან პერიოდში

ეკონომიკური პროცესებისა და მოვლენების დინამიკის სტატისტიკური პროგნოზირება ტრენდის გამოვლენაზეა დამოკიდებული. თანამედროვე სტატისტიკაში ტრენდის გამოვლენისა და ანალიზის სხვადასხვა მეთოდი გამოიყენება, მათ შორისაა მექანიკური და ანალიზური მეთოდები. მექანიკური მეთოდი თავის მხრივ მოიცავს: სრიალა საშუალოს, საშუალო აბსოლუტურ მატებისა და საშუალოწლიური ზრდის ტემპების საფუძველზე ტრენდის გამოვლენას. ანალიზური მეთოდები გულისხმობს სხვადასხვა სახის ფუნქციების გამოყენებას. თუმცა, ტრენდის ანალიზისას

გათვალისწინებული უნდა იყოს ორი მიდგომა: ლოგიკური და ფორმალიზებული, ლოგიკური მიდგომის დროს ტრენდი განხილული უნდა იყოს როგორც მრავალი სხვადასხვა ფაქტორის (ძირითადი და არაძირითად, რაოდენობრივად განზომადი და არაგანზომადი ფაქტორების) ერთობლივი ზემოქმედების შედეგი. ამასთან, აუცილებელია ყველა კონკრეტულ შემთხვევაში კონკრეტული ფაქტორების გავლენის შეფასება ცალ-ცალკე. ფორმალიზებული მიდგომის გამოყენებისას საჭიროა დინამიკური მწკრივის დანაწევრება შემადგენელ კომპონენტებად და მათი ცალ-ცალკე გამოსახვა სტატისტიკური ფორმით.[4]

რეალური ტრენდის გამოვლენა მიღწევადია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა სტატისტიკური პროგნოზირების დროს გამოყენებულია როგორც ლოგიკური, ასევე ფორმალიზებული მიდგომები. მსგავსი ტრენდი შესაძლებელია დაუდგეს საფუძვლად ადეკვატური საპროგნოზო მოდელების შერჩევას და შეფასებას.

ნულოვანი ტრენდის გამომსახველი დინამიკური მწკრივის პროგნოზირება არ წარმოადგენს სირთულეს, მაგრამ ასეთი დონეები იშვიათია, რადგან ეკონომიკური მოვლენების მდგომარეიბის ამსახველი დინამიკური მწკრივის დონეები სხვადასხვა ფაქტორების ზემოქმედების გამო მნიშნელოვნად შეიძლება განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან. სწორედ ამიტომ, ტრენდის გამოვლენის მიზნით გამოიყენება მცოცავი სშუალო. უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ინტერვალის სიდიდის ოპტიმალური ვარიანტის ზუსტი განსაზღვრა შეუძლებელია. მისი სიდიდე დამოკიდებულია კონკრეტულ მაგალითზე.

ზოგადად დინამიკური მწკრივი გამოისახება შემდეგნაირად: y_1, y_2, y_3 ….. y_n , პირობითად ჩავთვალოთ, რომ ინტერვალის სიდიდეა 5 , მაშინ სრიალა საშუალოს მეთოით ტრენდის გამოვლენა მოხდება შემდეგნაირად :

$$\overline{y_1} = \frac{y_1 + y_2 + y_3 + y_4 + y_5}{5} \qquad \overline{y_2} = \frac{y_2 + y_3 + y_4 + y_5 + y_6}{5}$$

[4] გელაშვილი, ს. ეკონომიკური პროცესების სტატისტიკური პროგნოზირება

$$\overline{y_{n-4}} = \frac{y_{n-4} + y_{n-3} + y_{n-2} + y_{n-1} + y_n}{5}$$

პროგნოზირებისათვის დინამიკური მწკრივის დონეთა ცვლილება სხვადასხვა მიმართულებით მოითხოვს განვითარების საერთო ტენდენციის დადგენისათვის ემპერიულ დონეთა (y_1, y_2, y_3 ….y_n) მოსწორებას ისეთი თეორიული დონეების გაანგარიშებით, რომლებიც ნათლად გამოავლენს მოვლენის განვითარების საერთო მიმართულებას.

ხშირ შემთხვევაში შესასწავლი მოვლენების დინამიკური მწკრივის დონეები მეტ-ნაკლებად თანაბარი სიდიდით იცვლებიან. ასეთ დროს ტრენდის გამოსავლენად უმჯობესია გამოვიყენოთ საშუალო აბსოლუტური მატების კოეფიციენტი. მისი გასაანგარიშებელი ფორმულები შემდეგნაირია:

$$\bar{\Delta} = \frac{\sum \Delta_k}{n-1} \qquad \bar{\Delta} = \frac{Y_n - Y_0}{n-1}$$

ტრნდის გამოვლენის პროცედურა კი შემდეგნაირია:

$$\hat{y}_1 = y_1 \quad , \quad \hat{Y}_2 = Y_1 + \bar{\Delta} \qquad \hat{Y}_3 = Y_2 + \bar{\Delta} \qquad \hat{Y}_n = Y_{n-1} + \bar{\Delta}$$

სადაც:

$\hat{y}_i$ არის თეორიული დინამიკური მწკრივის i-ური დონეები;

y_1 - მოცემული ემპირიული დინამიკური მწკრივის საწყისი დონე;

i - მოცემული მწკრივის დონეების რიგითი ნომერი.

მოვლენათა სტატისტიკური პროგნოზირებისათვის ასევე ხშირად გამოიყენება საშუალო წლიური ზრდის ტემპი. ეს ძირითადად ხდება, მაშინ როდესაც მოცემული მწკრივის დონეებისათვის დამახასიათებელია პროგრესულად მზარდი ტენდენცია. საშუალო ზრდის ტემპის გამოსათვლელი ფორმულაა:

$$K = \sqrt[n-1]{Y_n/Y_1}$$

პროგნოზირებისათვის მნიშვნელოვანია განისაზღვროს თუ რომელი პროგნოზირების მეთოდია უმჯობესი. უმჯობესია ამოვირჩიოთ ისეთი მეთოდი რომლითაც გაანგარიშებული მაჩვენებლების ემპირიულ დონეებისგან გადახრის კვადრატების ჯამი ნაკლებია სხვა მეთოდებით მიღებულ მაჩვენებლების გადახრის მაჩვენებელზე. აღნიშნული ხერხი ცნობილია, როგორც უმცირეს კვადრატთა მეთოდი.

საქართველოს შემთხვევაში, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნებთან განხორციელებული ექსპორტის მოცულობა 1996 წლიდან და მათი თეორიული (მოსწორებული) მაჩვენებლები შემდეგნაირია :

ცხრილი 3 საქართველოდან დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნებში განხორციელებული ექსპორტის მოცულობა, მლნ აშშ დოლარი

წელი	ფაქტობრივი მაჩვენებელი	მოსწორებული მატების ტემპის მიხედვით	მოსწორებული ზრდის ტემპის მიხედვით	მოსწორებული სრიალა საშუალოს მიხედვით

1996	129,9	129,9	129,9	124,8
1997	138,5	211,4	146,3	117,3
1998	106,0	293,0	164,8	113,8
1999	107,3	374,5	185,7	126,4
2000	128,1	456,0	209,1	146,8
2001	143,8	537,5	235,5	179,0
2002	168,5	619,0	265,3	240,3
2003	224,7	700,5	298,8	319,9
2004	327,6	782,1	336,6	375,3
2005	407,2	863,6	379,1	420,0
2006	391,1	945,1	427,0	464,6
2007	461,9	1026,6	480,9	473,0
2008	540,9	1108,1	541,7	544,6
2009	416,2	1189,6	610,1	715,0
2010	676,6	1271,1	687,2	991,1
2011	1 052,1	1352,7	774,0	1305,9
2012	1 244,6	1434,2	871,8	1443,7
2013	1 621,1	1515,7	981,9	1309,1
2014	1 465,3	1597,2	1105,9	1014,6
2015	840,9	1678,7	1245,7	921,0
2016	737,5	1760,2	1403,0	1197,3
2017	1 184,8	1841,8	1580,3	1619,7
2018	1 669,5	1923,3	1779,9	
2019	2 004,8	2004,8	2004,8	

ეკონომიკური პროცესების დინამიკის სტატისტიკური პროგნოზირები გაკეთებისას ასევე ხშირად გამოყენებადია წრფივი ფუნქციაც, მისი გამოსათვლელი ფორმულაა:

$$\widehat{y_t} = a_0 + a_1 t$$

სადაც:

$$a_0 = \frac{\sum y}{n} \qquad a_1 = \frac{\sum yt}{\sum t^2}$$

ხოლო t წლების აღმნიშვნელია

წრფივი ფუნქციით მოსწორებული საქართველოს ექსპორტი დსთ-ს ქვეყნებში შემდეგნაირად გამოიყურება:

ცხრილი 4 საქართველოს ექსპორტი დსთ-ს ქვეყნებში (მლნ აშშ დოლარი) მოსწორებულია წრფივი ფუნქციის მიხედვით

წელი	ექსპორტი	მოსწორებული წრფივი ფუნქციის მიხედვით
1996	129,9	-141,5
1997	138,5	-73,5
1998	106,0	-5,5
1999	107,3	62,5
2000	128,1	130,5
2001	143,8	198,5
2002	168,5	266,5
2003	224,7	334,5
2004	327,6	402,5
2005	407,2	470,5
2006	391,1	538,5
2007	461,9	606,5
2008	540,9	742,5
2009	416,2	810,5
2010	676,6	878,5
2011	1052,1	946,5
2012	1244,6	1014,5
2013	1621,1	1082,5
2014	1465,3	1150,5
2015	840,9	1218,5
2016	737,5	1286,5
2017	1184,8	1354,5
2018	1669,5	1422,5
2019	2004,8	1490,5

აღნიშნული მეთოდის გამოყენებით ჩვენ მარტივად შეგვიძლია გავაკეთოთ მომავლის პროგნოზი. 2030 წლამდე პროგნოზს შემდეგი სახე აქვს:

ცხრილი 5 საქართველოს ერთ სულ მოსახლეზე განხორციელებული ექსპორტის პროგნოზი

წელი	საპროგნოზო მაჩვენებელი
2020	1558,5
2021	1626,5
2022	1694,5
2023	1762,5
2024	1830,5
2025	1898,5
2026	1966,5
2027	2034,5
2028	2102,5
2029	2170,5
2030	2238,5

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ როდესაც სტატისტიკაში პროგნოზი კეთდება იგი გულისხმობს, რომ ზრდის ტენდენცია შენარჩუნებული იქნბა, რაც თავის მხრივ გამორიცხავს გარე პირობების ცვლილებას. საქართველოს გააჩნია იდიალური გეოპოლიტიკური მდგომარეობა და რესურსები იმისთვის, რომ მოახერხოს და დაიმკვიდროს ადგილი საგარეო ვაჭრობაში მოწინავე ქვეყნებს შორის.

იმისთვის, რომ მეტი პროდუქცია იყოს ექსპორტირებული ქვეყნიდან, უპირველესია, შევძლოთ მეტი საქონლის წარმოება. ამჟამად ამ შესაძლებლობის სიმწირე დიდ ტვირთად აწევს საქართველოს ექსპორტს, როგორც სოფლის მეურნეობაში, ისე მრეწველობაში. არსებობს გადამამუშავებელი ქარხნები რომელთაც შეუძლიათ მეტი საქონლის წარმოება და ექსპორტირება, თუმცა არ აქვთ საკმარისი ნედლეული, რათა სრულად აითვისონ საკუთარი პოტენციალი.[5]

სასოფლო- სამეოურნეო პროდუქტების დეფიციტის განმაპირობებელი ფაქტორებია:

- საკუთრებაში არსებული მიწების დანაწევრება;

[5] მაქსიმოვი ა. საქართველოს სოფლის მეურნეობის ექსპორტის პოტენციალის ათვისება, გერმანელ ეკონომისტთა ჯგუფი საქართველო და ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი, კვლევითი ნაშრომების სერიები [PP/01/2017].

- კულტურისა და ჯიშების მწირი დივერსიფიკაცია;
- ძველი პლანტაციებისა და ბაღების დეგრადაცია;
- ცოდნის სიმწირე
- მავნებლბისა და მცენარეთა დაავადებებისადმი დაუცველობა.

აღნიშნული პრობლემების მოსაგვარებლად აუცილებელია სახელმწიფოს აქტიური მხარდაჭერა, სპეციალური პროგრამების შემუშავება და არგოსფეროში ცოდნის ასამაღლებელი ტრენინგების ჩატარება ფერმერებისთვის.

დასკვნა

იმისათვის, რომ ქვეყანა თანამედროვე ეკონომიკურ გამოწვევებს გაუმკლავდეს აუცილებელია იგი ჩართული იყოს საგარეო ვაჭრობაში. დღეს-დღეისობით საგარეო ვაჭრობა უდიდეს როლს თამაშობს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში.

უკანასკნელი წლების სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველო ყოველ წლიურად სულ უფრო და უფრო მეტად ერთვება საგარეო ვაჭრობაში. სამწუხაროა ის ფაქტი, რომ ეს ძირითადად იმპორტის გაზრდით ხდება, მაგრამ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საქართველოს ექსპორტიც ზრდადი ტენდენციით ხასიათდება.

2019 წელს საქართველო მთლიანი ექსპორტის 43,3% ხოლო იმპორტის 32% დამოუკიდებელ სეხელმწიფოთა თანანამეგობრობის ქვეყნებში განახორციელა რაც იმას ნიშნავს, რომ დსთ საქართველოსთვის ყველაზე მნიშველოვანი და სტრატეგიული სავაჭრო პარტნიორია.

უკანასკნელ 10 წელში საქართველოს ექსპორტი დსთ-ს ქვეყნებთან თითქმის 3-ჯერ გაიზარდა. საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორებთან ექსპორტის ანალიზის დროს გამოჩნდა, რომ საქართველო ძირითადად რეექსპორტს ეწევა მეზობელ სახელმწიფოებში, მაგალითად აზერბაიჯანშ განხორციელებული 2010 წელს განხორციელებული ექსპორტის მხოლოდ 50% იყო რეექსპორტი, ხოლო 2019 წელს ეს მაჩვენებელი 82%-მდე გაიზარდა, უკანასკნელ 10 წელში აზერბაიჯანში რეექსპორტი დაახლოვებით 4ჯერ გაიზარდა. სწორედ ასეთი ფაქტის გამო სახელმწიფომ უნდა წაახალისოს ადგილობრივი წარმოება, რათა გაიზარდოს საქართველოში წარმოებული პროდუქციის ექსპრტი, რაც თავის მხრივ უკეთეს ზეგავლენას მოახდენს საქართველოს ეკონომიკურ განვითარებაზე.

2007 წლიდან 2008 წლამდე საქართველოს ექსპორტი დსთ-ს ქვეყნებში 17%-ით გაიზარდა ხოლო 2009 წელს იგი 23 %-ით შემცირდა. ამის მიზეზი რუსეთ-საქართველოს შორის 2008 წელს მომხდარი საომარი კონფლიქტი იყო. სწორედ ამიტომ ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარე საქართველოს მთავრობა მაქსიმალურად უნდა ცდილობდეს სავაჭრო პარტნიორებთან სწორი და მეგობრული პოლიტიკა გატარებას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბესაძე ო. ევროკავშირთან საქართველოს ეკონომიკური ინტეგრაციის სტატისტიკური ანალიზი, სადოქტორო დისერტაცია, თბ 2015;

2. გაბიძაშვილი ბ. სტატისტიკა ეკონომიკაში ბიზნესსა და მენეჯმენტში. თბ 2011;

3. გელაშვილი, ს. ეკონომიკური პროცესების სტატისტიკური პროგნოზირება ;

4. მარშავა ქ. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სტატისტიკა (ლექციების კურსი), თსუ;

5.მაქსიმოვი ა. საქართველოს სოფლის მეურნეობის ექსპორტის პოტენციალის ათვისება, გერმანელ ეკონომისტთა ჯგუფი საქართველო და ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი, კვლევითი ნაშრომების სერიები [PP/01/2017].

6. საქართველოს საბაჟო კოდექსის კონსოლიდირებული ვერსია (საბოლოო) 25/07/2006;

7. საქართველოს საგადასახადო კოდექსი, 17/09/2010;

8. "საქონლით საერთაშორისო ვაჭრობის სტატისტიკა, კონცეფციები და განსაზღვრებები, 2010 წ." (გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ნიუ იორკი, 2011 წ.) და „საქონლით საერთაშორისო ვაჭრობის სტატისტიკა: სახელმძღვანელო შემდგენელთათვის (გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ნიუ იორკი, 2013 წ.)

9.ძებისაური ლ,მ საქართველოს საგარეო სავაჭრო ურთიერთობების სტატისტიკური შესწავლა, სადოქტორო დისერტაცია, თბ 2012;

10. Balance of Payments and International Investments Position Manual" (BPM6) (International Monetary Fund, Washington D.C., USA, 2008., Sixth Edition), 2009;

11. International Merchandise Trade Statistics: Concepts and Definitions 2010, United Nations;

12. Standard International Trade Classification Revision 4, 2006;

13. https://comtrade.un.org/data

14. https://tradingeconomics.com

15. http://www.nplg.gov.ge

16. https://analytics.nbg.gov.ge/

17. https://www.geostat.ge/